ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №37

5 თებერვალი 2013 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული

ქონების განმეორებით საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

,,ჩოხატაურის თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №32 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოტანილი იქნას განმეორებით საჯარო აუქციონზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დ. ჩოხატაურში დუმბაძის ქუჩაზე მდებარე 47 კვ.მ. არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი - 28.01.22.084).
2. დამტკიცდეს აუქციონის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართის შესაბამისად.
3. აუქციონის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნას გაზეთ ,,24 საათში" და ადგილობრივ პრესაში.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე - ჭავჭავაძის ქ. №4.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*

დანართი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი აცხადებს განმეორებით საჯარო აუქციონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე

№	ობიექტის დასახელება	მისამართი	მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ.)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)	,,ბე" (ლარი) 30%	,,ბიჯი" (ლარი) 10%	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დ. ჩოხატაური დუმბაძის ქუჩა	47	564	170	57	20	28.01.22.084

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 10 საათიდან 17 საათამდე (აუქციონის ჩატარების დღეს 10:00 საათიდან 13.00 საათამდე) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, საუქციონო კომისიაში (წერეთლის ქ. N-2).

აუქციონში მონაწილეობის მსურველი აუქციონის ორგანიზატორს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებულ განაცხადს;
2. ,,ბე'-ს და მონაწილის ბილეთის თანხის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტებს;
3. ფიზიკური პირები - პირადობის დამადასტურებელ მოწმობას, ხოლო იურიდიული პირები ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.
4. ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური თანხის გადახდა.

აუქციონში გამარჯვებულმა საბოლოო თანხა უნდა დაფაროს აუქციონის ჩატარების დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად დათქმულ ვადაში, უქმდება აუქციონის შედეგები და მის მიერ შეტანილი ,,ბე" უკან არ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში დამარცხებულს ,,ბე" უკან უბრუნდება.

,,ბე" შეტანილი უნდა იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ანგარიშზე:

ბანკის კოდი LBRGE22, ანგარიშის ნომერი GE11LB0120133210302000, საიდენტიფიკაციო კოდი 242008705;

აუქციონის მონაწილის ბილეთის თანხა შეტანილი უნდა იქნეს ანგარიშზე: 300653282;

საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამამზადებელ პირებთან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ღირებულებას დამატებით იხდის აუქციონში გამარჯვებული პირი.

მსურველებს უფლება აქვთ ადგილზე გაეცნონ გასაყიდი ქონების მდგომარეობას.

აუქციონი ჩატარდება 2013 წლის 18 თებერვალს 15.00 საათზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ საუქციონო კომისიას მისამართზე: დ. ჩოხატაური, წერეთლის ქ. N-2, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობა ტელ: **577 959775; 577 957030; 577 954390.**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა